საქართველო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ს.ს.ი.პ - თესაუ თელავი,
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1
2200

☎ +995 350 272401, ფაქსი: +995 350 273264
E-mail: rector@tesau.edu.ge

GEORGIA

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE
Legal Entity of Public Law
Iakob Gogebashvili Telavi State University
(LEPL – TESAU)
1 Kartuli Universiteti Str.
2200 Telavi , Georgia
☎ (995 350) 27-24-01, fax: 27-32-64
E-mail: rector@tesau.edu.ge

MES 0 16 01135194

23/09/2016

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
დირექტორს ქალბატონ თამარ სანიკიძეს

ქალბატონო თამარ,

თქვენი წერილის (1120320 21/09/2016) პასუხად, განმეორებით წარმოგიდგენთ სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლო პროგრამაზე მიღების მიზნით შევსებულ ანკეტა-კითხვარს.

პატივისცემით,

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
რექტორი
ირმა შიოშვილი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალური ანკეტა-კითხვარი

დანართი

ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	იურიდიული მისამართი	თელავი ქართული უნივერსიტეტის ქ # 1
	პროგრამის განხორციელების ადგილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი)	info@tesau.edu.ge 0350272401/0350272401 / quality@tesau.edu.ge 0350 275982
	ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	ირმა შოშვილი (რექტორი) 0350 272401; rector@tesau.edu.ge ;
	საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	ნინო ნახუცრიშვილი-განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი) +995 599 28 55 75; +995 571 28 55 75 n.nakhutsrishvili@gmail.com

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებელის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
	პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება	პროგრამა ითვალისწინებს პედაგოგიური კადრის მომზადებას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება,
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #2 , 2016 წლის 17 მარტი
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	92
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	ქართული
	პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60
	მიზანი და სწავლის შედეგი *	იხილეთ დანართი

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	12	2150	12	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.	
2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2150	10	მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.	
3	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)	6	2250	6	გეოგრაფია	კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.	
4	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	11	2150	11	ისტორია	კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.	

5	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	6	2250	6	ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.	
6	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)	6	2250	6	ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.	
7	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	8	2250	8	ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.	
8	ინგლისური ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	12	2250	12	ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.	
9	გერმანული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.	
10	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	8	1900	8	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.	
11	სპორტი	8	1850	8	სპორტი	კომბინირებული ტესტი ზოგად უნარებსა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.	

*მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი

ხელმოწერა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის განხორციელება ეფუძნება საქართველოს კანონებს ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ. იგი თანხვედრაშია მასწავლებელთა მომზადების და განვითარების დარგობრივ, პროფესიულ სტანდარტებთან, აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. **პროგრამის მიზნებია:**

- ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში კვალიფიციური პედაგოგიური კადრის მომზადების ხელშეწყობა,
- განათლების რეფორმის მოთხოვნების გათვალისწინებით პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი უახლესი მეთოდური ცოდნისა და პროფესიული კომპეტენციების მქონე საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის მომზადება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მითითებულ საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, გეოგრაფია, ისტორია, ქიმია, ბიოლოგია, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
- ისეთი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს როგორც წარმატებული პროფესიული სააქმიანობა, ისე მასწავლებლობისთვის საჭირო პროფესიული განვითარების ეტაპების წარმატებით დაძლევა და სურვილისამებრ, კვლევით სფეროში სწავლის გაგრძელება.

პროგრამის ამოცანაა მისი განხორციელება მიზნების შესაბამისად.

სწავლის შედეგები:

კრიტერიუმები	ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	-აქვს ეფექტური სწავლისა და სწავლებისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; -აცნობიერებს სასწავლო პროცესის კომპლექსურ საკითხებსა და პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს.	• იცნობს საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურასა და მიზნებს; • ფლობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურისათვის საგნის სწავლების მეთოდიკას; • იცის ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა სწავლასა და სასწავლო პროცესზე • ფლობს სწავლება/სწავლის–კითხვის, წერის სტრატეგიებს და შეფასების თანამედროვე სისტემის თეორიულ საფუძვლებს. • აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მეცნიერებების თეორიული საფუძვლების ცოდნა და შესწევს მისი

		პრაქტიკული პროფესიული საჭიროების, გამოყენებითი ღირებულებების გაცნობიერება; • იცის სწავლა-სწავლებისა და განვითარების ის ძირითადი თეორიები, მეთოდები, ორგანიზების ფორმები, საგანმანათლებლო რესურსები, რომელთა გამოყენებაც უზრუნველყოფს ეფექტიან სწავლება-სწავლას. • აცნობიერებს სასწავლო მიზნის, შეფასების, სწავლება-სწავლის და შედეგების ურთიერთკავშირს და შეუძლია მათი სათანადოდ დაკავშირება; • ერკვევა მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლება-მოვალეობებში და ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურაში; იცის ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა სწავლასა და სასწავლო პროცესზე; • იცის, როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო; • აცნობიერებს მასწავლებლისა და მოსწავლის სხვადასხვა როლს სასწავლო პროცესში და ამ როლების გავლენას სწავლების შედეგებზე. • იცის როგორ გამოიყენოს პროფესიული განვითარების სხვადასხვა საშუალებები და რესურსები თვითგანვითარებისა და პროფესიული სრულყოფის მიზნით
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	•შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	• შეუძლია სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით გაკვეთილის წარმართვის ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენება და მოსწავლეთა აქტივობების მართვა; • შეუძლია ყველა მოსწავლეებისათვის თანაბარი, სამართლიანი,. ეფექტურად ორგანიზებული და საინტერესო გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას ამ გარემოსთან, შესაბამისი ქცევის წესების ჩამოყალიბებას; • ერკვევა სსსმ ბავშვებთან მუშაობის ხერხებსა თუ მეთოდებში და შეუძლია მათი პრაქტიკული გამოყენება; • შეუძლია შეუძლია მოსწავლეთა ობიექტური, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის

		სხვადასხვა მეთოდების, ხერხების, საშუალებების და ფორმების გამოყენება; • აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი; • შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს დამოუკიდებლად აზროვნების და ზოგადად, სასწავლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაში; • შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებისა და საგნის სპეციფიკის მოთხოვნების, სასწავლო რესურსების გათვალისწინებით; • შეუძლია მოტივაციის და კომინიკაციის სტრატეგიების გამოყენება სასწავლო პროცესში; • შეუძლია საგნის სწავლების მეთოდიკის თეორიის საფუძველზე სასკოლო კურსის გააზრება-გამოყენება სხვადასხვა საკითხების მეთოდური დამუშავების დროს • იცის მათი გამოყენება მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისათვის, მათი აქტივობების გაზრდისათვის, შემეცნებითი, სოციალური თუ საკომუნიკაციო უნარების ჩამოყალიბება –განვითარებისათვის; • აქვს მოსწავლეთა და მშობელთათვის კონსულტაციის გაწევის უნარი
დასკვნის უნარი	შეუძლია პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემთა იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით; ასევე, დასაბუთებული დასკვნის გაკეთების უნარი:	• შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, სწორად შეფასება და დასკვნის გაკეთება • .აქვს შესაბამის სიტუაციაში ადექვატური გადაწყვეტილების მიღების უნარი; • შესწევს აზრების გაგების, გაანალიზების, სინთეზირების და გადმოცემის უნარი; • შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევის შედეგების ანალიზი; • შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნების გაკეთება
კომუნიკაციის უნარი	იცის ურთიერთობის სტრატე-გიები და შესწევს თანამედ-როვე	• შეუძლია კოლეგიალური, ურთიერთ-პატივისცემაზე აგებული ეფექტური კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე კოლეგებთან, პარტნიორული

	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენებით ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარი; შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით	ურთიერ-თობების დამყარება მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან სასკოლო ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართვის მიზნით. • აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების მრავალმხრივად გამოყე-ნების უნარი; • იცნობს გუნდური მუშაობის პრინციპებს და ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. • აქვს ქართულ და უცხოურ ენაზე პროფესიული ლიტერატურის გაცნობისა და კოლეგებთან პროფესიაზე კომუნიკაციის უნარი.
სწავლის უნარი	აქვს საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრის უნარი ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში	შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება და უწყვეტი პრო-ფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა და დაგეგმვა; ამის საფუძველზე პროფესიული ცოდნის განახლება და გაუმჯობესება.
ღირებულებები	ერკვევა პროფესიულ ფასეულობებში, იცის ეროვნული ღირე-ბულებები ამ მიმართულებით, მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.	გაცნობიერებული და გააზრებული აქვს პიროვნული, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ურთიერთობის, ასევე პროფესიული ეთიკის ნორმები; პატივს სცემს აზრის მრავალფეროვნებას. აქვს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი;